

# ჰინ განგაკურნავს?



**მამა გაბრიელ პრაგანტინი**

„მამრამ  
მხოლოდ ვაქცინა  
საკმარისი არ  
იქნება ამ სნეული  
კაცობრიობის  
განსაკურნებლად,  
თუ არ იზვება  
განახლებული,  
განწმენდილი  
ადამიანი!“

ალბათ სავალდებულოა რამდენიმე სიტყვის თქმა იმ უცნაურ ვითარებაზე, რომელიც წარმოიშვა... შესაძლოა, სიტყვები აღარ არის საკმარისი ზუსტად იმიტომ, რომ უკვე ზედმეტად ბევრიც ითქვა; თუმცა მაინც გვჭირდება სიტყვები, განსაკუთრებით სიტყვები, რომლებიც ამ ვითარების დასრულებას გვაუწყებენ, რომლებიც გვეტყვიან თუ რა მოხდა სინამდვილეში, რომლებიც დაგვპირდებიან, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება, რომლებიც პატიებას ითხოვენ იმის გამო, რაც მოხდა, რომლებიც მაღლიერებას გამოხატავენ გაკეთებული სიკეთისთვის, გადარჩენილი სიცოცხლისთვის, რომლებიც იმედს არ გაგვიცრუებენ; მაგრამ სად უნდა ვეძიოთ რწმენის ეს სიტყვები? ვის ეყოფა გამბედაობა პატიების თხოვნისა? სიმართლის თქმისა? მომავლისთვის ვალდებულების აღებისა?

რელიგიებსა და ეკლესიებს? საქართველოს გამოცდილება გვეუბნება, რომ ამ ეკლესიის

მიერ გამოყენებული სიტყვები, რომელმაც, კონსტიტუციის თანახმად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ხალხის ისტორიაში, იყო მხოლოდ საკუთარი თავის, საკუთარი წეს-ჩვეულებების, საკუთარი ტრადიციების, საკუთარი ინტერესების დასაცავად; რა სიტყვები შეიძლება თქვას ამ ეკლესიამ, რომელმაც ვერ შეძლო მათი მოსმენა, ვისაც უფრო მეტად ეშინოდა, ან ვისაც უფრო მეტი ყურადღება სჭირდებოდა? წმინდა პეტრეს მოედანმა რომში, უკაცრიელმა, ნაწვიმარმა, გაცილებით უფრო მეტი გვითხრა, ვიდრე ამას ვიფიქრებდით, ისევე როგორც ცარიელმა სამარხმა პასექის დღით!

მასმედიას? ჩვეულებრივ, ისინი ამბობენ იმას, რისი გაგონებაც სურთ, ან რის თქმასაც ავალბებენ: ბეჭდვითი სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, ღირებულება, რომლისთვისაც იბრძოდნენ და ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ იბრძვიან, დღეს, ძირითადად, პრესის კონკურენციას გულისხმობს,

ადამიანთა უბედურების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას, პირველობისთვის ბრძოლას, მეტი აუდიტორიის მოსაზიდად... პრესა კვლავაც გააგრძელებს თავის რბოლას: წერას, აღწერას, ფოტოგრაფირებას, გადმოცემას; ამ დღეებში ინტერნეტი რომ არ ყოფილიყო, დღეები უფრო მძიმე, გაუსაძლისი იქნებოდა... მაგრამ ჩვენ ვერ გავიგებთ სიმართლეს მასმედიის საშუალებებით.

ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ კლასს? რა თქმა უნდა, მმართველი კლასი რომ არ ყოფილიყო, სიტუაცია კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ მმართველი კლასის გამო არ იქნა დროულად შეჩერებული ვირუსი: რა გააკეთა ზოგიერთმა მთავრობამ მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში ვითარება უარესდებოდა, გარდა ლოდინისა და უმოქმედობისა: თითქოს ეს მათ არ ეხებოდათ? ამ უდიდესი პრობლემის წინაშეც კი, არ გადადეს გვერდზე ეროვნული და ზეეროვნული ეგოიზმი, ზოგმა სიმართლის დამალვით, ზოგმა სხვისი დადანაშაულებით, ზოგმა ამ სიტუაციით სარგებლობით, რათა კიდევ უფრო მეტად გაძლიერებულიყვნენ... რა თქმა უნდა, ეროვნული და საერთაშორისო ცხოვრების გარკვეული სექტორები კრიზისში არ ჩავარდნილან: პირველ რიგში, იარაღის გავრცელებისა და რეალიზაციის... მაგრამ ამიერიდან ცალკე ალბულები ვეღარ გადავრჩებით; ვინ შეძლებს მსოფლიო ვითარების სადავეების ხელში აღებას? სავარაუდოდ, იგი, ვისაც ხელიდან არ გაუშვია ის და ახლაც აგრძელებს ყველაფრის მართვას კულისებიდან, ხალხის ზურგს უკან, მათი დემოკრატიის, მათი მისწრაფებების ზურგს უკან. რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში პრევენციული ზომები არ იქნა გატარებული: თუმცა იგივე ზომები გარკვეუ-

ლი კარის წინ შეჩერდნენ... და სახელმწიფო „უძლურად“ უყურებდა უმრავლესობის ეკლესიის გადანაცვეტილებებს, როგორც სახელმწიფო, რომელსაც არ შეუძლია შევიდეს სხვა სახელმწიფოს კომპეტენციაში; მაგრამ განა ყველანი ერთსა და იმავე ნავში არა ვართ? გაივლის ეს პერიოდი და სახელმწიფოს მოუწევს სერიოზულად გადახედოს გარკვეულ არჩევანს სახელმწიფოსა და უმრავლესობის ეკლესიის ურთიერთობასთან დაკავშირებით, თუ მას სურს შეინარჩუნოს საკუთარი ავტონომია და ავტორიტეტულობა.

მეცნიერებს? თუ დღემდე შეგვეძლო „მხიარულ მეცნიერებაზე“ საუბარი, დღეს შესაძლებელია გავაგრძელოთ ფიქრი მეცნიერებაზე, როგორც ყველაფრის გადამრჩენელზე? განა არსებული ვითარება არ არის იმ მეცნიერების შედეგი, რომელიც ყოვლისშემძლედ მოიაზრებოდა; განა არ უნდა იყოს ის უფრო ფრთხილი, ყურადღებიანი უსასრულო პროგრესისკენ მიმავალ გზაზე... და არა დაუდევარი იმ კატასტროფის წინაშე, რომელიც მეცნიერ ადამიანს შეუძლია დატოვოს საკუთარი თავის უკან ან თავის ირგვლივ? რა თქმა უნდა, ჩვენ ვისურვებდით დაუყოვნებლივ

გვეკონდეს ვაქცინა, ვისურვებდით, რომ პირველივე დღიდან გვექონოდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არსებობს... ექსპერიმენტებით თამაშის გაგრძელება უნდა დასრულდეს, თუ არ იქნება უფრო ეთიკური, უფრო ზუსტი რეგულირება; საშინელება ის არის, რომ ამ სიტუაციაშიც გამოვლინდა „ევგენიკური“ არჩევანი ასაკის, სიმდიდრის, უპირატესობის საფუძველზე... ეს ვერ იქნება ის პრინციპები, რომლებიც გადაარჩენს მსოფლიოს! ეს იქნება ღმერთი? ვილაცამ გაბედა და დაწერა, რომ ღმერთი არ იქნება ის, ვინც გადაარჩენს ადამიანს ვირუსისგან; ეს შეიძლება მკრეხელობად მოგვეჩვენოს, მაგრამ, ამასთანავე, ეს გამოწვევაა მათთვის, ვინც აგრძელებს ღმერთის ჭეშმარიტი სახის და არა მისი კომოდიფიკაციის ძიებას; რა თქმა უნდა, ვაქცინა ციდან არ ჩამოვარდება, ადამიანმა უნდა აღმოაჩინოს; მაგრამ მხოლოდ ვაქცინა საკმარისი არ იქნება ამ სწეული კაცობრიობის განსაკურნებლად, თუ არ იშვება განახლებული, განწმენდილი ადამიანი; არა ადამიანი სხვა ადამიანის წინააღმდეგ და არც ადამიანი ღვთის წინააღმდეგ. სხვაგვარად, ამ ვაქცინებით ვერ განვიკურნებით; ჩვენ კიდევ დაგვჭირდება სხვა სიტყვები!





## უნმიდესი მამის სამაისო გზავნილი ყველა ერთგულისადმი

**პაპ ფრანცისკეს გზავნილი უნმიდესი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი თვის, მაისის დაწყებასთან დაკავშირებით**

**ძვირფასო ძმებო და დებო,**

მალე დადგება მაისი, თვე, როდესაც ღვთის ხალხი განსაკუთრებით ღრმად გამოხატავს თავის სიყვარულსა და პატივისცემას ქალწული მარიამისადმი. ტრადიციულად, ამ თვის განმავლობაში სახლსა და ოჯახებში სავარდით ლოცულობენ. საქმე ეხება საშინაო განზომილებას, რამაც „გვიძულა“ დავაფასოთ პანდემიის შეზღუდვები, მათ შორის, სულიერი თვალსაზრისით.

ამიტომ, ვფიქრობ, ყველას შემოგთავაზოთ, კვლავ ეზიაროთ სავარდის საშინაო ლოცვის სილამაზეს მაისის თვის განმავლობაში. ეს შეგიძლიათ გააკეთოთ ერთად ან ინდივიდუალურად; შეაფასეთ ორივე შესაძლებლობა და აირჩიეთ თავად ვითარების გათვალისწინებით. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ამის საიდუმლო უბრალოებაშია. ამასთან, ძნელი არ იქნება, ასევე, ინტერნეტში მოიძიოთ სრულყოფილი ვარიანტები ამ ლოცვის აღსასრულებლად.

გარდა ამისა, მსურს შემოგთავაზოთ ღვთისმშობლისადმი ლოცვის ორი ტექსტი, რომელიც შეგიძლიათ წარმოთქვათ სავარდის დასასრულს, და მეც, თქვენთან სულიერ ერთობაში, აღვაუდენ ამ ლოცვას მაისის განმავლობაში. ტექსტი თან ერთვის ჩემს წერილს, რათა ყველასთვის იყოს ხელმისაწვდომი.

ძვირფასო ძმებო და დებო, ერთობლივი ჭვრეტა ქრისტეს სახისა, ჩვენი დედის, მარიამის გულით, კიდევ უფრო მეტად შეგვაკავშირებს როგორც სულიერ ოჯახს და ამჟამინდელი განსაცდელის გადალახვაში დაგვეხმარება. ვილოცებ თქვენთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ყველაზე მეტად იტანჯება, თქვენ კი გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის. მთელი გულით გიხდით მადლობას და გლოცავთ.

**რომი, სან ჯოვანი ინ ლა ტერანო,  
25 აპრილი, 2020 წელი  
წმიდა მარკოზ მახარებლის დღესასწაული**


# პირველი ლოცვა უწმიდესი ღვთისმშობლისადმი

მარიამ, გამუდმებით რომ გვინათებ გზას, ნიშნად ხსნისა და იმედისა,  
შენ განდობთ სნეულთა ჯანმრთელობას, ჯვრის მადლით რომ გაერთიანდა იესოს  
ტანჯვაში, რათა განვმტკიცდეთ რწმენაში.

რომაელი ხალხის ხსნას, შენ უწყი ჩვენი გასაჭირი, და გვწამს, რომ როგორც  
გალილეის კანაში, ისე ჩვენც დაგვიბრუნებ სიხარულსა და ღლესასწაულს ამ  
განსაცდელის შემდეგ.

შეგვეწიე, ღვთაებრივი სიყვარულის დედავ, თანახმად მამის ნებისა, ვაკეთოთ  
ის, რასაც იტყოდა იესო, ჩვენი ტანჯვა და გასაჭირი რომ იტვირთა, რათა ჯვრის  
მეშვეობით აღდგომის სიხარული მოეტანა ჩვენთვის. ამენ.

საფარველსა ქვეშე შენსა შემოგეხიზნეთ ჩვენ, უწმიდესო ღვთისმშობელო.  
სათხოვარსა ჩვენსა ნუ უგულებელჰყოფ ჭირთა შინა ჩვენსა, დაგვიხსენ ყოველი  
საფრთხისაგან მუდამ, ქალწულო დიდებული და კურთხეულო.





## მეორე ლოცვა უწმიდესი ღვთისმშობლისადმი

საფარველსა ქვეშე შენსა შემოგეხიზნეთ ჩვენ, უწმიდესო ღვთისმშობელო. ამჟამინდელი განსაცდელისას, ტანჯვისა და წუხილის ტვირთით, მთელი მსოფლიო რომ დაჯაბნა, შენსკენ მოვილტვით, ღვთისმშობელო და დედავ ჩვენო, თავშესაფარს ვეძებთ შენში.

უწმიდესო ღვთისმშობელო მარიამ, მოგვაპყარ შენი მოწყალე მზერა კორონავირუსის ამ პანდემიისას, და ანუგეშე ისინი, ვინც შეშფოთებული დასტირის თავის გარდაცვლილ ახლობლებს, რომელთა დაკრძალვაც ხშირად გვტკენს სულს.

გაამხნევე ისინი, რომლებიც დამწუხრებულნი არიან ადამიანთა ავადმყოფობით, დასნეულების შიშით მათ გვერდით ყოფნაც რომ არ შეუძლიათ. ნდობა მიმადლე მათ, ვისაც ალელვებს გაურკვეველი მომავალი, ეკონომიკისა და სამუშაოს შედეგი. ღვთისმშობელო და დედავ ჩვენო, გამოითხოვე ღვთისაგან, გულმონყალე მამისგან, დასასრული ამ მძიმე განსაცდელისა, რათა კვლავ ვიხილოთ იმედისა და მშვიდობის

ჰორიზონტი. როგორც კანაში, სთხოვე შუამდგომლობა შენს ღვთაებრივ ძეს სნეულთა და მსხვერპლთა სანუგეშებლად, დაე, დაივანოს იმედმა მათ გულებში.

დაიცავი ექიმები, მედიცინის მუშაკნი, სანიტრები და მოხალისენი, ამ გადამწყვეტ ჟამს ფრონტის წინა ხაზზე რომ დგანან და საკუთარი სიცოცხლის ფასად იბრძვიან სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად. წარუძებ მათ გმირულ შრომას და მიმადლე ძალა, გულმონყალება და ჯანმრთელობა.

გვერდით დაუდექ მათ, რომლებიც დღედაღამ ზრუნავენ ავადმყოფებზე, მღვდელმსახურთ, რომლებიც მწყემსური გულმოდგინებითა და სახარებისეული პასუხისმგებლობით ცდილობენ ყველას დახმარებასა და გამხნეებას.

უნმიდესო ქალწულო, გონება გაუნათე სწავლულთ: დაე, გამონახონ სწორი საშუალება ამ ვირუსის დასამარცხებლად.

შეენიე ერთა ხელმძღვანელებს, იმოქმედონ ბრძნულად, გულუხვად და სასწრაფოდ, რათა მხარი დაუჭირონ მათ, ვინც მოკლებულია სიცოცხლისათვის ყველაზე აუცილებელს, შეიმუშაონ სოციალური და ეკონომიკური გეგმა შორსმჭვრეტელობითა და სოლიდარობის სულისკვეთებით.

უნმიდესო ქალწულო მარიამ, მოუხმე ადამიანთა სინდისს, რათა შეიარაღების ზრდისა და სრულყოფისათვის დაბანდებული უზარმაზარი თანხები მიმართონ კვლევის წინსვლისათვის, რათა მომავალში უსათუოდ ავიცილოთ თავიდან მსგავსი კატასტროფა.

საყვარელო დედა, გაზარდე მთელ მსოფლიოში ერთიანი დიდი ოჯახისადმი კუთვნილების გრძნობა და თანაზიარება გამაერთიანებელი კავშირებისადმი, რათა ძმური და სოლიდარული სულისკვეთებით ვისწრაფოდეთ ვუპასუხოთ მრავალ გასაჭირსა და სიღატაკის ნაირსახეობას. შეგვენიე, შევინარჩუნოთ რწმენის სიმტკიცე, მსახურების მუდმივობა, უდრეკობა ღოცვაში.

მარიამ, მწუხარეთა მანუგეშებლო, გულში ჩაიხუტე შენი გატანჯული შვილები და გამოითხოვე ღვთისაგან, რათა თავისი ძლევამოსილებით გვიხსნას ამ საზარელი ეპიდემიისგან, რათა მშვიდობიანად შევძლოთ დავუბრუნდეთ ჩვეულებრივ ყოფას.

შენ მოგენდობით, გამუდმებით რომ გვინათებ გზას, ნიშნად ხსნისა და იმედისა, მშვიდო, კურთხეულო, ტკბილო ქალწულო მარიამ. ამენ.

<https://www.vaticannews.va/ru/pope/news/2020-04/papa-messaggio-per-il-mese-di-maggio.htm>

თარგმნა ვერიკო ნოზაძემ



### რუბრიკა მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა



## პაკისტანის რელიგიური უმცირესობები კანდემლის პირობებში

აშშ-ს აღმსარებლობის თავისუფლების კომისიამ პაკისტანის მთავრობას ჰუმანიტარული დახმარების სამართლიანი განაწილებისკენ მოუწოდა. დამკვირვებელთა ცნობებით, ქვეყნის რელიგიურ უმცირესობებს, მათ შორის ქრისტიანებსა და ინდუისტებს, დახმარება არ მიეწოდებათ. დისკრიმინაცია აღინიშნება არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც. ორგანიზაცია Saylani Welfare International Trust, რომელიც კარაჩის უღატაკეს მოსახლეობას საკვებს აწვდის, პირდაპირ აცხადებს, რომ დახმარება მხოლოდ მუსლიმებზეა გათვლილი.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღდგომის ღამეს პაკისტანის სახელმწიფო არხი პირდაპირ ეთერში წმიდა წირვას გადმოსცემდა, რაც დიდი ნუგეში იყო მორწმუნეებისთვის, რომელთაც კარანტინის გამო ერთმანეთის სახლებში შეკრებაც კი არ შეეძლოთ. იმ ქვეყანაში, სადაც რელიგიური უმცირესობები სასტიკ დევნას განიცდიან, ეს უპრეცედენტო მოვლენაა. ისლამაბადის წმიდა იოსების საკათედრო ტაძარში წირვას მთავარეპისკოპოსი იოსებ არშადი წარუძღვა.

## სემინარიას შექადლებული ტურისტები

პუერტო პრინსესას (ფილიპინები) წმიდა იოსების სემინარია თვრამეტე ტურისტს მასპინძლობს. საერთაშორისო რეისების გაუქმებისა და ქვეყნის შიგნით გადაადგილების შეზღუდვის გამო ამ ადამიანებმა სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლეს და ერთხანს სასტუმროებში ცხოვრობდნენ. როდესაც საარსებო სახსრები ამოეწურათ, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა დახმარება პუერტო პრინსესას სემინარიას სთხოვა. „რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მანამ, სანამ ჩვენი დახმარება დასჭირდებათ, ისინი ჩვენთან დარჩებიან“, - აღნიშნა სემინარიის რექტორმა როი ვასკესმა.

## შარი-ლანკის კათოლიკეებმა თავდასხმელს მიუტანეს

„შარშან, აღდგომას, გზაბნეული ახალგზრდები დაგვესხნენ. ჩვენ კი ქრისტეს მოძღვრების თანახმად მოვიქცით: შევუნდეთ მათ, შევიბრალეთ და შევიყვარეთ ისინი. აღდგომა ხომ სრულად გამოირიცხეს ეგოიზმს“, - აღნიშნა კოლომბოს მთავარეპისკოპოსმა. შეგახსენებთ, რომ შარშან კოლომბოში, სააღდგომო ღმრთისმსახურებისას, კათოლიკურ და ევანგელურ ეკლესიებზე თავდასხმის დროს ორას ორმოცდაცხრამეტი ადამიანი დაიღუპა.

## ესპანეთის ბიზნესმენები მონასტრებს ეხმარებიან

პანდემიის პირობებში თვითკმარი მონასტრული თემები, რომლებიც თავს საკუთარი წარმოების საქონლისა ან სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გაყიდვით ირჩენდნენ, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ესპანეთის ბიზნესმენთა ჯგუფმა საკარანტინო ზომების შემსუბუქებამდე, ანუ იმ დრომდე, როცა ეს თემები თავისი საქმიანობის განახლებას შეძლებენ, მათთვის დახმარების განევა გადაწყვიტა.

## „სისოცხლის გახანგრძლივებაზე მიმართულ ღონისძიებებს პასიენტის ასაკი ან სოსიალური სტატუსი არ უნდა განსაზღვრავდეს“

ინგლისისა და უელსის იერარქების განცხადებით, კორონავირუსით დასნეოვნებულ მოხუცებსა და უნარშეზღუდულ პირებს სიცოცხლის გახანგრძლივების ისეთივე უფლება აქვთ, როგორც სხვებს. „COVID-19-ის ეპიდემიის გამო დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურს დიდი ტვირთი დაწვა. შექმნილ ვითარებაში ექიმებს რთული გადაწყვეტილებების მიღება უწევთ. რესურსები შეზღუდულია, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი განაწილება სამართლიანად უნდა მოხდეს. ყველანი ღმრთის ხატად ვართ შექმნილი და ადამიანის ღირებულება მისი გონებრივი თუ ფიზიკური უნარებით, სოციალური მდგომარეობით ან ასაკით არ განისაზღვრება. ხანდაზმულებისა და უნარშეზღუდულებისთვის სამკურნალო მომსახურება ისევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც სხვებისთვის“, - ნათქვამია ინგლისისა და უელსის ეპისკოპოსთა კონფერენციის 20 აპრილის განცხადებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის, ვინც კორონავირუსი დაძლია, უხუცესები ვუჭანელი ციან განფენი (103 წლის) და გენუას მკვიდრი იტალიკა გრონდონაა (102 წლის).

## დედამიწის მსოფლიო დღე

დედამიწის მსოფლიო დღე 1970 წლიდან ყოველ 22 აპრილს აღინიშნება. უწმიდესი პაპის ქადაგება, რომლის ტრანსლირება ვატიკანის სამოციქულო ტაძრის ბიბლიოთეკიდან ხდებოდა, ჩვენი საერთო სახლისთვის ზრუნვას მიეძღვნა. „ეგოიზმის გამო ჩვენზე დაკისრებულ დედამიწის მცველთა და განმგებელთა ამოცანას ვერ გავუმკლავდით. დავაბინძურეთ და გავძარცვეთ პლანეტა ისე, რომ ახლა ჩვენივე სიცოცხლე საფრთხეშია. დავაშავეთ ჩვენი საერთო სახლის წინაშე, შევცოდეთ ღმრთისა და მოყვასის წინაშე. ასე თუ გავაგრძელებთ, მომავალი არ გვაქვს. სიყვარული მოვფინოთ ჩვენს საერთო სახლს, ვიზრუნოთ მისთვის, ვიზრუნოთ ჩვენი საკაცობრიო ოჯახის ყველაზე სუსტი წევრებისთვის. ბოლო დროის ტრაგიკულმა მოვლენებმა გვაჩვენა, რომ გლობალურ გამოწვევებთან გამკლავებას მხოლოდ ერთობლივი ძალებით შევძლებთ. ჩვენ მატერიისგან შედგებებით და ჩვენს სხეულებს მინის ნაყოფი კვებავს. მაგრამ ამ სხეულებში სიცოცხლეა, რომელიც ჩვენში უფალმა შთაბერა. საკაცობრიო ოჯახი დედამიწაზე შემოქმედის სხვა ქმნილებებთან ერთად ცხოვრობს და მათთვის ზრუნვა აქვს დაკისრებული“, - აღნიშნა უწმიდესმა პაპმა.





## საქმე რწმენის გარეშე კლ რწმენა საქმის გარეშე

რწმენით გა-  
დარჩება ადამი-  
ანი თუ საქმეებით?  
როგორც ჩანს, ეს  
ძალიან რთული  
საღვთისმეტყველო  
საკითხია. ჩემი აზ-  
რით, ეს კითხვა იმ  
ტიპის აბსურდულ  
კითხვებს მიეკუთ-  
ვნება, როგორიცაა

**„დედა უფრო გიყვარს**

**თუ მამა?“** ეს ერთ-ერთია იმ აზრს  
მოკლებულ თეორიულ პრობლემა-  
თაგან, რომელთაც ყურადღება  
გადააქვთ ქრისტიანობის კონკრე-  
ტული პრაქტიკიდან. ეს ჰგავს  
ფორუმზე ქალიშვილების მიერ  
განხილულ საკითხს: რომ გავხდეთ,  
ნაკლებად უნდა ვჭამოთ თუ მეტად  
ვიმოძრაოთ? და თუ ნაკლებად უნდა  
ვჭამოთ, მაშინ, სახელდობრ, რა?  
გავზარდოთ ცილების რაოდენობა,  
ან შევამციროთ ნახშირწყლების  
რაოდენობა? და თუ მეტი მოძრაო-  
ბაა საჭირო, მაშინ უნდა ვირბინოთ  
თუ ფიტნეს კლუბში ვიაროთ? ჩემი  
გამოცდილებით, თუკი მივირთ-  
მევთ კვერცხს ბეკონით, ფიზი-  
კური დატვირთვის შემთხვევაშიც  
კი, ოდნავადაც ვერ მოვიკლებთ  
წონაში, ხოლო თუ მთელ დღეებს  
კომპიუტერის ეკრანთან დავყოფთ,  
მხოლოდ იოგურტიც რომ მივირთ-  
ვათ, მაინც ვერ გავხდებით.

რწმენა და საქმე ერთმანეთთან  
ღრმად დაკავშირებული. ამიტომ  
კითხვა - რწმენით ვიხსენებით თუ  
საქმეებით - იმგვარივეა, როგორც  
მაგალითად „კობის ჩხირებისგან  
ილუპება ადამიანი თუ ტუბერკუ-  
ლიოზისგან?“ ან „ქვა ვარდება თავი-  
სი წონის გამო თუ სიმძიმის ძალით?“

საქმეს რწმენის გარეშე ხშირად  
მარცხამდე მიჰყავს მრავალი საე-  
რო, სიციალური ან საქველმოქმედო  
ორგანიზაცია. გარკვეულ ეტაპზე  
ადამიანი აცნობიერებს საკუთარ  
უღონობას, გაღიზიანებულია მა-  
თზე, რომელთა დახმარებასაც

გუშინ ცდილობდა. ხვდება, რომ  
მისი შესაძლებლობები უცილო-  
ბლად შეზღუდულია და ბრაზობს  
საკუთარ თავზე. ამ მდგომარეო-  
ბაში ვარდება ნებისმიერი, ვინც  
სიკეთის წყაროს ეძებს მხოლოდ სა-  
კუთარ ნებისყოფაში და არა ღმერ-  
თში - სიბრძნისა და ძალის პო-  
ტენციურად ამოუწურავ წყაროში.  
ვფიქრობ, რომ მორწმუნეე-  
ბმა არავითარ შემთხვევაში არ  
უნდა დააყენონ საქმე რწმენაზე  
წინ, სხვაგვარად, მორწმუნენი  
უცილებლად გადაიქცევიან ფარი-  
სეველებად და ფანატიკოსებად,  
რომელთა მოჩვენებითი აქტიურო-  
ბის უკან იმალება ურწმუნოების  
შინაგანი სიცარიელე. სწორედ ასე-  
თია ყოვლისშემძლე ტოტალური  
სექტა, რომლის სულშიც ღმერთი  
არაა დავანებული, სამაგიეროდ,  
ცივილიზაციას უარყოფენ და ენი-  
ნაალმდეგებიან საზოგადოების  
გარკვეულ ფენებს.

ხშირად ასეთი ალტკინება, შინა-  
განი შესაძლებლობის გარეშე რომ  
იწყება, გარდაიქმნება სავსებით  
საწინააღმდეგოდ - ურწმუნოებად  
და ცინიზმად. როგორც ადამიანე-  
ბი, დიეტის მეხუთე დღეს „მაკდონ-  
ალდსში“ რომ გარბიან. ან თავს ან-  
ებებენ სმას, მონევას და ყოველდღე  
ყინულჭრილში ბანაობენ, შემდეგ კი  
უცებ ავინყდებთ თავიანთი სული-  
ერი სრულყოფა და ბარებში ერთო-  
ბიან. როგორც ვენიჩკა ეროფეევი  
ამბობდა, „ამქვეყნად ყველაფერი  
ნელა და არასწორად უნდა წარ-  
მოიქმნებოდეს, რათა ადამიანმა  
ვერ მოასწროს გამედიდურება,  
რომ ადამიანი იყოს მოწყვნილი  
და დაბნეული.“ და მერე კი ღმერ-  
თს დასახმარებლად მიმართავდა.

თქვენ შეგიძლიათ მკითხოთ: რა  
ვქნათ ახლა, არაფერი ვაკეთოთ,  
ბუჩქებს ამოვეფაროთ და დავტკ-  
ბეთ ჩვენი რწმენით? დიახ, საქმეც  
ამაშია, რომ თუ რწმენა გაქვს, შეუ-  
ძლებელია არაფერს აკეთებდე.

შეუძლებელია, გიყვარდეს ღმერ-



**მამა მიხეილ სურგავა**



ბაბა გაბრიელა  
ბრაგვანთინი

## 1321 წლის 9 პრილი – 2021 წლის 9 აპრილი 700 წელი ქმა დემეტრე ტფილელის გარდაცვალებიდან

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „საბა“ №04 (292)

### კულტი და ხსოვნა ინდოეთში

პორტუგალიელების კვალდა-კვალ, ფრანცისკელი ბერების ჩასვლით ინდოეთში (1498/1500) იმის პირობა შეიქმნა, რომ „ტომაზოს, იაკოპოს, პიეტროსა და დემეტრეს ხსოვნა ისევ გამოცოცხლებულიყო მათი წამების ადგილებში. სწორედ ქმა ანტონ ლისაბონელის დაუღალავი შრომით დაარსდა თანაში მისია და ეს გახლდათ ტომაზოსა და მისი მეგობრების წამების ადგილის ხსოვნის სიმბოლო. მაგრამ 1582 წლამდე უნდა მოეცადა, ვიდრე ფრანცისკელი ბერები არ ჩამოვიდოდნენ და ეკლესიასა და წმიდა ანტონ პადუელის მონასტერს არ დააარსებდნენ. იმ წლების მოგონებებში პირველადაა მინიშნება ზუსტ ტოპოგრაფიაზე იმ ადგილებისა, სადაც ტომაზო, იაკოპო და დემეტრე მოკლეს. ესაა კალვა, მჭიდროდ დასახლებული და ღარიბი გარეუბანი, რომელიც თანასთან ახლოს აღმოცენდა. სავარაუდოდ, პიეტრო ზღვის იმ აუზთან მოკლეს, რომელიც ოდესღაც გარშემორტყმული იყო თორმეტი პაგოდით, სახელდობრ, ტალაო პალინელთან, სადაც დღეს წმიდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაა. წამების ადგილის დადგენა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მათი ხსოვნა არ გამქრალა. თუმცა აქ სამართლიანი იქნება დავსვათ კითხვა: ნუთუ შესაძლებელია, რომ 260 წლის მანძილზე, 1321-დან 1582 წლამდე, სრულიად მუსლიმურ



და ინდურ გარემოში და არა ქრისტიანულ საკრებულოში, თუმცა უმცირესობაში, წამების ხსოვნა ისე შემონახულიყო, რომ ზუსტად დადგენილიყო კალვას ხე და პიეტრო სიენელის დაღუპვის ადგილი? ალბათ, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ მრავალი წლის შემდეგ თანაში დაბრუნებულ ფრანცისკელ ბერებს სურდათ თავიანთი მრავალსაუკუნოვანი არსებობა დაედასტურებინათ იმ რეალური ადგილების დადგენით, რომლის შესახებაც მარკო და ოდორიკო ყვებოდნენ? პასუხს შეიძლება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს, ვიდრე ვფიქრობთ, მაგრამ ის შეიძლება მარტივი იყოს, ვიდრე წარმოგვიდგენია. მრავალი ფაქ-

ტი, მიუხედავად მათი რელიგიური ღირებულებისა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს მოხდა, შემონახული და გავრცელებულია. ფაქტია, რომ არაფრისგან არაფერი იქმნება; უნდა არსებობდეს საფუძველი, კავშირი, რომელიც არ ეწინააღმდეგება არსებულს, თუმცა ეს შეიძლება იყოს შედეგი აღმოსავლეთში ფრანცისკელთა ყოფნის აპოლოგეტური ინტერპრეტაციისა, სხვა ორდენებთან შედარებით (დომინიკელები, იეზუიტები), ან კოლონიალურ ხელისუფლებათა (პორტუგალიელები...) ემანსიპაციისა. როდესაც აღმოსავლეთში ფრანცისკელთა მისიის ისტორიას ვეცნობით, განსაკუთრებით XVI საუკუნიდან მოყოლებული, თა-

ნაში ფრანცისკელთა მონამეობა ხშირად წარმოდგენილია, როგორც ფრანცისკელთა მისიის ფუძემდებლური აქტი აღმოსავლეთში, შესაბამისი ღვთის და მათი დამფუძნებლის წმ. ფრანცისკე ასიზელის ნებისა. XVIII საუკუნეში ეს მოვლენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ილუსტრირებულ იქნა გოაში, წმ. ფრანცისკე ასიზელის მონასტერში - „Galeria dos Ma'tires Franciscanos“. აქ, მონასტრის პირველი სართულის კედლის გასწვრივ, სივრცეში, რომელიც განკუთვნილი იყო არა ღვთისმსახურებისათვის, არამედ ლოცვისა და მედიტაციისთვის (განსხვავებით იტალიისაგან, სადაც ყველა ფრესკა ეკლესიაშია განთავსებული), ხეზე შესრულებული თექვს-

მეტი დიდი ნახატი აღმოსავლეთში ფრანცისკელი ძმების მარტვილობის თოთხმეტ ეპიზოდს გვახსენებს, მათ შორის, ნიშანდობლივია ცენტრალურ პოზიციაში (8-9) ორი სურათი, რომლებიც წარმოადგენდნენ მაროკოს ფრანცისკელ პირველმონამეებს (1220 წ. უკვე 800 წელი გავიდა) და თანას ოთხ მონამეს (ამრიგად, მათ შეიძლება ეწოდოთ ინდოეთის ოთხი ფრანცისკელი მონამე); დღეს ეს სურათები მუზეუმშია დაცული. ინდოეთში ფრანცისკელთა მრავალსაუკუნოვანი ყოფნის დასასრულისთანავე, თითქოს მათი ხსოვნა საბოლოოდ უნდა დავიწყებულიყო, მაგრამ 1914 წლის 24 ოქტომბერს, ტომაზო ტოლენტინოელის ბეატიფიკაციიდან ოცი წლის შემდეგ, რიტების წმიდა კონგრეგაციის დეკრეტით გოას არქიეპარქიისა და დამას ეპარქიის კალენდარში შეიტანეს ნეტარი ტომაზო ტოლენტინოელის ღვთისმსახურებისა და მისი ხსენების დღე, ან 9 აპრილი, მათი მარტვილობის დღე. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გამოიცა პუბლიკაციები, ეკლესიებში გამოიფინა სურათები თანას მონამეთა შესახებ. 1938 წელს, დამას ეპარქიის გაუქმების შემდეგ, იმედს გამოთქვამდნენ, რომ წირვა ნეტარი ტომაზოს მოსახსენებლად ბომბეის არქიეპარქიის კალენდარში შევიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. 1948 წელს ფრანცისკელი ისტორიკოსი აქილეს მეერსმანი (Achilles Meersman) იმედოვნებდა, რომ, ტომაზო ტოლენტინოელის მსგავსად, მოხდებოდა მისი თანამოძმეების ბეატიფიკაცია. მართალია, სხვადასხვა მიზეზთა გამო მის ამ სურვილს ასრულება არ ეწერა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახლო თუ შორეულ მომავალში მისი ხორცშესხმა შეუძლებე-



ლია, თუნდაც საქართველოს კათოლიკეთა წვლილით.

**ჯერ კიდევ არის შემონახული ინდოეთში თანას მონამეთა კულტი და ხსოვნა?**

პასუხი დადებითია, ის შემონახულია ბომბეის ორ საკრებულოში, რომელთაგან პირველია წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარი, სადაც დაცულია ნეტარი ტომაზო ტოლენტინოელის რელიკვია და სურათი, რომელზედაც ასახულია ოთხი ფრანცისკელის ნამება. საინტერესოა, აღინიშნოს ასევე, რომ ყოველი თვის 9 რიცხვში აღევლინება წირვა ამ ოთხი მონამის მოსახსენებლად, ხოლო ყოველი წლის 9 აპრილს აღინიშნება დღესასწაული. დღეს თანას რეალობა ძირფესვიანად შეიცვალა, ის ორმილიონიან მოსახლეობას ითვლის და შეიცვალნენ წმ. იოანე ნათლისმცემლის საკრებულოს მორწმუნეებიც. თუმცა, ბოლო წლებში, თანას მონამეთა





ხსენების დღე - 9 აპრილი განსაკუთრებული განწყობით აღინიშნება (ამის შესახებ ინფორმაცია მოგაწოდეთ „საბას“ წინა გამოშვებაში).

მეორე საკრებულო, სადაც თანას ოთხ მონამეს მოიგონებენ, არის სიონის კეთილი რჩევის დედუფლის მცირე ძმათა ეკლესია (Chiesa dei frati Minori di Our Lady of Good Counsel), რომელიც მდებარეობს თანასა და მუმბაის უკიდურეს სამხრეთს შორის, სწორედ იმ ადგილას, სადაც პორტუგალიელმა ფრანცისკელებმა დააფუძნეს სამლოცველო Nossa Senhora do Bom Concelho. აქ, საკურთხევის მარჯვნივ და მარცხნივ, ვიტრუვიუსის, გამოსახულია ტომაზო, იაკობო, დემეტრე და პიეტრო, რათა მრავალმა მორწმუნემ იცოდეს, რომ ეს ოთხი ფრანცისკელი მონამე ბომბეის კათოლიკური რწმენის ისტორიაში პიონერად მიიჩნევა.

რისი გაკეთება შეგვიძლია 700

### წლისთავთან დაკავშირებით?

პირველ რიგში, მივიჩნევ, რომ კათოლიკე მორწმუნეები უნდა გაეცნონ სტატიას; თუკი საქართველოში, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამწუხაროდ, სრულიად გაქრა ხსოვნა ამ ქართველი ფრანცისკელისა, რომელიც მთელი XIV საუკუნის მანძილზე წმიდანად მიიჩნეოდა, ახლა დადგა დრო, რომ კვლავ გაცოცხლდეს მისი ინტერესი და მოწინება. ძმა დემეტრეს ბეატიფიკაციის პროცესის დაწყება ბევრად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მომწიფდება მისი ინტერესი და მოწინება ჩვენს კათოლიკურ საკრებულოებში; შეიძლება ეს ამ წლის ნაყოფიც კი იყოს, როდესაც ჩვენი ეპისკოპოსის მითითებით ყველანი ერთად ვფიქრობთ თემაზე „წმიდანები საქართველოში“. ასევე, შეიძლება გამოიცეს ძმა დემეტრეს გამოსახულებები, იმ მოკლე ბიოგრაფიული ინფორმაციის დართვით, რასაც ვფლობთ (მაგრამ არ უნდა დავავიწყდეს, რომ ეს პერიოდი კათოლიკე ეკლესიისათვის, როგორც აღმოსავლეთში, ისე საქა-

რთველოში, ძალიან საინტერესო პერიოდია) და აუცილებელად ძმა დემეტრესადმი სავედრებელი ლოცვით. ასევე, ურიგო არ იქნება, კონტაქტი დავამყაროთ ბომბეის (ინდოეთი) ეპარქიასთან და იმ იტალიურ ეპარქიებთან, საიდანაც წარმოშობით იყო დანარჩენი სამი ფრანცისკელი (პადუა, სიენა და განსაკუთრებით ტოლენტინო, რადგან ძმა ტომაზო უკვე ნეტარად შერაცხა ეკლესიამ მე-18 საუკუნიდან), და ფრანცისკელთა ორდენის ხელმძღვანელებთან. თუკი ეს უკანასკნელნი სხვადასხვა ინიციატივით აღნიშნავენ მაროკოს პირველმონამეთა ხსოვნას (რომლებიც 1220 წელს, ჯერ კიდევ წმიდა ფრანცისკეს სიცოცხლეშივე მოკლეს), რაღა თქმა უნდა, იფიქრებენ თავიანთი ორდენის ოთხი მონამის დაღუპვიდან 700 წლისთავის აღნიშვნაზე.

დღეს, როდესაც საქართველოში მრავალი კათოლიკე კითხულობს, თუ ვინ შეიძლება იყოს ქართველი კათოლიკე წმიდანი (სამწუხაროდ, ბევრი ძნელად აღიარებს კათოლიკე წმიდანად პირველი 12 საუკუნის ქართველ წმიდანებს), მეორე





ათასწლეული ჯერ სრულად შესაფასებელია მთელი თავისი სიმდიდრით: დაწყებული საქართველოში ჩამოსული მისიონერებიდან (ფრანცისკელები, დომენიკელები, თეატინები, კაპუცინები... რომელთა ისტორიაც უმეტესად საგმირო საქმეებთანაა სავსე), დამთავრებული XIX-XX საუკუნეების კათოლიკეებით, რომლებიც ჯერ კიდევ აღფრთოვანებას იწვევენ საქართველოსა და უცხოეთში (საკმარისია, გავისხენოთ ზუბალაშვილების ოჯახი, არა მხოლოდ თავდაუზოგავი, კეთილსინდისიერი, ქველმოქმედი ცხოვრების, არამედ ოჯახის ზოგიერთი წევრის ნამდვილი წმიდანობის მაგალითით), მამა პეტრე ხარისჭირაშვილი, რომელმაც სტამბულში დააარსა მონასტერი, ბერ-მონაზვნები და რელიგიური მოღვაწენი (მათ შორის, მ. თამარაშვილი, რომელმაც უცოყმანოდ გასწირა თავისი სიცოცხლე უცხო ადამიანის გადასარჩენად, რომელიც სანტა მარინელას ზღვაში იხრჩობოდა), მორწმუნე ერისკაცები და მღვდლები, რომელთაც კომუნისტური რეჟიმის დროს დევნიდნენ და ხვრეტდნენ. ინდოეთის ქ. თანაში სახარების გამო მოკლული ძმა დემეტრე ტფილელის მონამებრივი სიკვდილის 700 წლისთავთან დაკავშირებული შესაძლო ინიციატივები ერთგვარი დახმარება იქნება, რომ უფრო კარგად გავაცნობიეროთ ჯერ კიდევ რამდენი სინმინდეთა მიმალული საქართველოში ჩვენი კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ჭრილობებში.

სტატია მომზადებულია კარლო ვურაკის კვლევის „თანას ფრანცისკელ მონამეთა ხსოვნა და კულტი“ საფუძველზე, რომელიც მოცემულია კვლევისა და ტექსტში „წმიდა“, (2019), გვ. 91-115.

თი, გნამდეს მისი და არ გინდოდეს ემსახურო მას. რწმენა საქმის გარეშე მკვდარია? დიახ, რწმენა საქმის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ მითია. საქმე რწმენის ბუნებრივი შედეგია, როგორც კეთილი ურთიერთობები სიყვარულის ბუნებრივი შედეგი. თუკი ჭაბუკი, რომელიც აცხადებს, რომ უყვარს, მაგრამ ეგოისტივით იქცევა, ეს არაა სიყვარული. საქმე რწმენის უთუო სიმპტომია. თუ ნამდვილად გნამთ, შეუძლებელია საქმე არ გააკეთოთ, თუნდაც ხელფების გარეშე იყოთ დარჩენილი. მართლმადიდებელი წმიდანი მატრონა მოსკოველი სარეცელს იყო მიჯაჭვული, მაგრამ სამაგიეროდ, გამუდმებით ლოცულობდა და ამით სასწაულს ახდენდა.

სიკეთის კეთებით მორწმუნე იქცევა იმ პატარა ბავშვივით, რომელიც 8 მარტს დედას მცირე საჩუქარს უძღვნის, რათა გაახაროს იგი, რადგან უყვარს დედა. დედასაც უხარია, თუმცა მისი „სიკეთის ძღვენი“ ვერანაირად შეედრება იმ განუსაზღვრელ სიკეთეს, რომელსაც დედა მისთვის აკეთებს, ისევე, როგორც ჩვენი კეთილი საქმენი ვერ შეედრება ღვთის სიკეთეს.

ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს არანაირი ძალადობა პიროვნების მიმართ. მაგალითად, მე საკმარისი რწმენა მაქვს იმისათვის, რომ არც კი დაფიქრდე, ისე ვთქვა უარი „ოჯახის შექმნაზე“, მაგრამ არავის, ვისაც კი ეჭვი ეპარება, არ დავარწმუნებ, რომ ამგვარად მოიქცეს. ძალით, შინაგანი რწმენის გარეშე, ვერაფერს გააწყობ. ღმერთს ჩვენი

საქმენი საგმირონი არაფერში გამოადგება, მას სჭირდება ჩვენი „სარვამართო ბარათები“ - სიყვარულის გულწრფელი საჩუქრები.

რწმენა და სიყვარული აუცილებლად წარმოშობს იმ ზემოტივაციას, რომელსაც მთების გადაადგილება შეუძლია. შეიძლება წლობით ვარჯიშობდე, ხელისგულით აგური რომ გატეხო, ან შეიძლება ძლივს შესამჩნევი მოძრაობით თითი დააჭირო „ბირთვულ ლილას“ - და მიიღო უფრო მეტი შედეგი. შეიძლება დღიდან დღემდე წინ წასწიო მანქანა საათში 2 კმ სიჩქარით, ან შეიძლება ჩაასხა ბენზინი და გაემგზავრო.

აქ შეიძლება წარმოიშვას კითხვა: **სად მოვიპოვოთ ისეთი რწმენა, რათა კი „არ ვიბორძიკოთ, არამედ ვიაროთ“?** და ფიქრობ, რომ სახარების, წმიდა მამებისა და ქრისტიან მწერალთა მეშვეობით დავიმუხტებით რწმენით დიად საქმეთა საკეთებლად - რა თქმა უნდა, თუ სწორედ მათ ვაქცევთ საკუთარი ინტერესების საფუძვლად და ცენტრად, ყოველდღიურ საკითხავად და განსჯად, ამ ფიქრებს მივუსადაგებთ ნებისმიერ ყოფით სიტუაციებს.

რწმენის, იმედის, ღვთის სიყვარულის გარეშე, ქრისტიანობით შთაგონების გარეშე, ყოველი რელიგიური პრაქტიკა საკუთარი თავის პაროდიად გარდაიქმნება. დაახლოებით ისე, როგორც ამ ოთხტაეპიან ლექსშია:

მე ჩემს ხასიათს ვაწრთობ  
წინააღმდეგობათა გადალახვით,  
ჯიუტად რომ ვხაზავ ფარგლით  
კვარდრატს.



# მარტინების წყვილის წმიდა ცხოვრება და წმიდა ოჯახი

მათ ისწავლეს სიცოცხლის ყოველი წუთის დაფასება და სიყვარული. ისინი დაგვეხმარნენ ქორწინების მნიშვნელობის გააზრებაში. აზელიამ და ლუიჯიმ, რომლებიც ისტორიაში პირველი წმიდა მეუღლეები არიან, გვაჩვენეს, რომ ქორწინება, ისევე როგორც რელიგიური ცხოვრება, არის მონოდეება სინამდისაკენ. მათი ცხოვრების მაგალითით აღმოვაჩინეთ ქალსა და მამაკაცს, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის სილამაზეს; ოჯახს, სადაც ვსწავლობთ, თუ როგორ არის შესაძლებელი ღვთის წყალობის მიღება, რაც მარტინების წყვილმა თავისი ცოლქმრული ცხოვრების მაგალითით აჩვენა.



1858 წლის გაზაფხულზე მარია აზელია გვერინი გადაკვეთს სან ლეონარდოს ხიდს ალენსონში. საპირისპიროდ მომავალი ახალგაზრდა მამაკაცი მას გვერდით ჩაუვლის. აზელიას გული უგრძნობს, რომ ის მისი რჩეული საქმროა! 35 წლის ლუდოვიკო მარტინი მესაათე და ოქრომჭედელია, მარია კი - 27-ის, „Punto d'Alencon“-ის ერთი უბრალო მქარგველი. ორივემ რელიგიური ცხოვრების ძიების რთული გზა გაიარა. ლუიჯი ნორმანდიიდან ალპებშიც კი ჩავიდა, რათა წმ. ბერნარდოს მონასტერში ბერად შემდგარიყო, მაგრამ არ მიიღეს. იგი შინ დაბრუნდა, მონაწილეობდა სამრევლო ცხოვრებაში. მარია აზელიამ კი, სუსტი ჯანმრთელობის გამო, უარი მიიღო San Vincenzo-ს ქალიშვილების ორდენში შესვლაზე. მაშინ დაქორწინება გადაწყვიტა და უფალს შესთხოვა, მიეცა შვილები, რათა მისთვის მიეძღვნა. როგორც ჩანს, ღმერთმა ისმინა მისი ვედრება: მათ ოჯახში ცხრა შვილი დაიბადა, მათ შორის, ნაბოლარა ტერეზა, „პატარა ყვავილი“.

მარია აზელია და ლუდოვიკო სულიერი მოძღვრის მეშვეობით ცოლქმრული სინამდის სამაგალითო გზით სვლას შეუდგნენ. მათი წმიდა ოჯახი ღმერთს იყო მინდობილი; ლოცვა, ყოველდღიური ექვარისტია, მონაწილეობა საკვირაო კატექეზებში, საქველმოქმედო საქმიანობა მათი ყოველ-



დღიური ცხოვრების წესი იყო. „იმისთვის, რომ ღოცვა მესწავლა, საკმარისი იყო შემეხედა მამა-ჩემისთვის: ეს იყო წმიდანის ღოცვა“, - იხსენებს ტერეზა მოგვიანებით. აღსარების სანიმუშო პრაქტიკა, ღვთისმშობლისადმი ნაზი თაყვანისცემა, წმიდანთა სიყვარული, შერწყმული საოჯახო კატეხიზმოსთან, სახარების განმარტება, წმიდანთა ცხოვრების კითხვა - ამგვარად აზიარებდნენ მშობლები ქალიშვილებს ქრისტეს საიდუმლოებებს. ლუდოვიკო გამოირჩეოდა ღვთის წმიდა ხატისადმი ერთგულებით.



მშობლების მთელი ყურადღება მიჰყრობილი იყო ლეონიასადმი, სუსტი ჯანმრთელობის მქონე მესამე შვილისადმი, რომელიც ტემპერამენტიტითა და მეამბოხე ხასიათით გამოირჩეოდა. მარია აზელია ღმერთს სთხოვდა, რომ მისი ქალიშვილები ჭეშმარიტი ქრისტიანები, მისიონერები გამხდარიყვნენ. ოჯახმა ოთხი მცირეწლოვანი შვილი დაკარგა. „ყოველთვის, როცა ჩემს საყვარელ შვილებს თვალს ვუხუჭავდი და კუბოში ვაწვენდი, აუტანელ ტკივილს განვიცდიდი, მაგრამ სიმშვიდეს ვინარჩუნებდი. ბევრი მეუბნებოდა, რომ უკეთესი იქნებოდა, არ მყოლოდა ისინი. მე ვერ ვიტანდი ამგვარ საუ-



ბრებს...“ (წერილი ძმას, 17 ოქტომბერი, 1871 წ.). რაც შეეხება ქველმოქმედებას, სელინა იხსენებს, როგორ ეხმარებოდა მამამისი ტანჯულებს. ერთ დღით მან უპოვარი მოხუცი დააპურა, შემდეგ კი მის ფეხებთან მუხლებზე დააჩოქა ის და ტერეზა, რათა მოხუცს დაელოცა ისინი.

მარია აზელია 45 წლისა გარდაიცვალა სარძევე ჯირკვლის კიბოთი. მტანჯველი პროცედურების შემდეგ ლურდში გამგზავრება იყო მისი ბოლო იმედი. „თუ წმიდა ქალწული არ განმკურნავს, მაშინ შევევედრები, რომ განკურნოს ჩემი ქალიშვილი ლეონია, გაუნათოს მას გონება, გახადოს ის წმი-

დანი“ (წერილი რძლისადმი, 20 თებერვალი, 1877). სიკვდილამდე ათი დღით ადრე ის უკანასკნელ ძალას მოიკრებს და ოთხი წლის ტერეზასთან ერთად ეკლესიაში სადღესასწაულო წირვას დაესწრება. ზეთისცხება მთელი ოჯახის თანდასწრებით, 1877 წლის 28 აგვისტოს, მასთან გამომშვიდობება იყო. „ღმერთო ჩემო, თქვენ დიდ პატივს მდებთ“, - ეს იყო ლუდოვიკოს პასუხი ქალიშვილებისადმი, როცა მათ მამას განუცხადეს თავიანთი გადანყვეტილება უფლისთვის მიეძღვნათ ცხოვრება. პაოლინას შესვლა კარმელელთა ორდენში მოსალოდნელი იყო, მაგრამ არა მარიასი, რომელიც ოჯახზე მზრუნველი იყო. მამა სინანულის გარეშე თანხმდება სელინასა და ლეონიას, რომელიც შევიდა მონასტერში Visitazione di Caen (კანას მონახულება), აგრეთვე ტერეზას, რომელმაც ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში ითხოვა მამისგან კარმელელთა მონასტერში შესვლის ნებართვა. ლუდოვიკო გარდაიცვალა 1894 წლის 29 ივნისს, მან სული დალია ქალიშვილის, სელინას ხელში.

ანტონიო სანგალი

Antonio Sangalli

OSSERVATORE ROMANO

## „წმიდანი...“



### წმ. თამარ მეფე - მოხსენიების დღე - 14 მაისი

მეფე თამარი (1160-1210), რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერისა და ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურების, ეკლესიის კეთილმსახურებისა და სიქველისათვის წმიდანად შერაცხა, პირველი ქალი იყო საქართველოს სამეფო ტახტზე. თამარის მამას, მეფე გიორგი III-ს, ვაჟი არ ჰყავდა, ამიტომ მან, ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში, 1178 წელს, თანამოსაყდრედ (თანამეფედ) თამარი დაიყენა. 1184 წელს მეფე გიორგი გარდაიცვალა და თამარი ერთპიროვნული მმართველი გახდა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმული ქვეყნისა. თამარი იყო ქვრივთა, ობოლთა და დავრდომილთა „განმკითხავი“, ანუ მათზე მზრუნველი. სამეფოს მთელი შემოსავლის 10% („ყოვლისა ნაათალი“) მისი მეფობის დროს გლახაკთათვის გაიცემოდა. როგორც კი სახელმწიფო საქმეებისგან თავისუფლდებოდა, თამარი მაშინვე ხელსაქმეს მიეცემოდა - რთავდა ან კერავდა და საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაკერს ხუცესებსა და გლახაკებს ურიგებდა.

საქართველოს ეკლესიამ მეფე თამარი წმიდანად შერაცხა.



### წმ. მამაი კათალიკოსი - მოხსენიების დღე - 16 მაისი

წმიდა მამაი კათალიკოსი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის ტახტზე იჯდა 731-744 წლებში. ცნობები მის შესახებ არ შემონახულა. მამაი კათალიკოსი მოხსენიებულია ზედაზნელ მამათა სიაში. იგი ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი იყო სამი წლის მანძილზე; როგორც ჩანს, გამორჩეული სულიერებისა და მოღვაწეობისათვის საქართველოს კათალიკოსად აუწრჩევიათ.

### წმ. მამანი მიქაელ და არსენ ულუმბოელნი - მოხსენიების დღე — 16 მაისი

ღირსნი მამანი მიქაელ და არსენ ქართველნი - ულუმბოელნი, იერუსალიმის პატრიარქის, სერგის (843-859) თანამედროვენი იყვნენ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები მოიხსენიებს „წმიდათა მამათა ჩუენთა მიქაელ და არსენს, რომელთა აღაშენეს ულუმბოი“. როგორც ჩანს, არსენს და მიქაელს ჩაუყრიათ საფუძველი ქართველთა ბერ-მონაზვნობისთვის ულუმბოზე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმიდანთა დასში შერაცხა ულუმბოზე ქართული მონასტრის დამაარსებელნი, ღირსნი მამანი მიქაელი და არსენი.



### წმ. იოანე ზედაზნელი - მოხსენიების დღე - 20 მაისი

წმიდა იოანე VI საუკუნის შუა წლებში მოღვაწე ერთ-ერთი ათცამეტ ასურელ მამათაგანი იყო. მან ზედაზნის მთაზე დააარსა მონასტერი, რომლის პირველი წინამძღვარი თვითონ იყო. იგი დასაფლავებულია მონასტრის მთავარ ტაძარში. იოანე ზედაზნელს საქართველოში მოსვლიდანვე დახმარებასა და მფარველობას უწევდა ქართლის კათალიკოსი ევლალე. იოანეს მოღვაწეობა აუწერიათ VI-VII საუკუნეებში, მაგრამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. X საუკუნეში მისი ცხოვრება აღწერა კათალიკოსმა არსენ II-მ, რომელსაც გამოუყენებია ძველი ტექსტი. მის შესახებ ცნობებს შეიცავს შიო მღვიმელის მეტაფრასული „ცხოვრებაც“.

# საქართველოში

## წმ. შიო მღვიმელი - მოხსენიების დღე - 22 მაისი

წმიდა შიო, ერთ-ერთი ასურელი მამა, დაიბადა ანტიოქიაში. 20 წლისა განთქმული მეუდაბნოის, იოანეს მოწაფე გახდა, თავისი ქონება გლახაკებს და მონასტრებს დაურიგა, თავად კი ბერად აღიკვეცა.

VI საუკუნის შუა წლებში იოანე თავის მოწაფეებთან ერთად საქართველოში მოვიდა. ცხოვრობდნენ მცხეთაში, შემდეგ ზედაზნის მთაზე. ოთხი წლის შემდეგ შიო მღვიმელი გამოეყო ძმობას და სარკინეს მთაზე დააარსა შიომღვიმის მონასტერი. თავდაპირველად იგი ცხოვრობდა მცირე გამოქვაბულში, რომელიც დაახლოებით IX საუკუნეში ეკლესიად უქცევიათ. სიცოცხლის უკანასკნელი წლები შიო მღვიმელმა გაატარა განმარტოებით, 12 მ სიღრმის მღვიმეში (აქედან „მღვიმელი“), ანდერძის თანახმად, იქვე დაკრძალეს.



## წმ. ექვთიმე მთაწმინდელი - მოხსენიების დღე - 26 მაისი

წმ. ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028) იყო ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი. წმიდა ექვთიმემ თოთხმეტ წელიწადს უწინამძღვრა ათონის ქართველთა მონასტერს, შემდეგ კი, რადგანაც სამწერლო საქმიანობისათვის დიდი დრო სჭირდებოდა, წინამძღვრობა მამა გიორგის გადააბარა, ხოლო თვითონ სენაკში ჩაიკეტა, რათა მთლიანად თარგმნისთვის მიეყო ხელი. იგი ბავშვობიდანვე ფლობდა ბერძნულ ენას, თარგმნიდა არა მარტო ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც. მას ბერძნულადაც დაუწერია თხზულება სამონაზვნო ცხოვრების წესების შესახებ. ექვთიმე მთაწმინდელმა დიდი წვლილი შეიტანა ბიზანტიური კულტურის გაცნობისა და ათვისების საქმეში. მან ქართული მწერლობა გაამდიდრა ბიზანტიური მოღვაწეების თხზულებათა თარგმანებით. ძველი და ახალი აღთქმის წიგნთაგან ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა სახარება-ოთხთავი, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება (აპოკალიფსი) და დავითნი; მისი თარგმნილია რომის პაპის კლიმენტის წამება. ექვთიმე მთაწმინდელის მიზანი იყო ქართველი მკითხველისათვის გაეადვილებინა ბიზანტიური მწერლობის გაგება და ათვისება. ეფრემ მცირის თქმით, ექვთიმე მთაწმინდელმა საგრძნობლად გააღრმავა ქართველი მკითხველის ცოდნის სფერო. მისი თარგმანების ენა სადა და დახვეწილია, თხრობა - ყოველთვის ლაღი და ბუნებრივი.

წმიდა ექვთიმე ათონის მთაზეა დაკრძალული. მისი ღვაწლი აღწერა გიორგი მთაწმინდელმა.

## წმ. პიროს ბრეთელი - მოხსენიების დღე - 26 მაისი

წმიდა პიროსი VI საუკუნის შუა წლებში მოღვაწე ერთ-ერთი ათცამეტ ასურელ მამათაგანი იყო. მან ქართლში დააარსა ბრეთის ეკლესია, დასაფლავებულია იქვე.



# *რატომ რებავენ საარდგომოდ კვერცხებს ვიტყვით?*

გადმოცემის მიხედვით, საპას-  
ეჟო კვერცხების წითლად შეღებ-  
ვის ტრადიციას საფუძველი მას  
შემდეგ ჩაეყარა, რაც რომის იმ-  
პერატორმა ტიბერიუსმა ქრის-  
ტიანობა მიიღო.

იმ დროს მიღებული იყო, რომ  
რომში ჩასული ადამიანი სწევოდა  
იმპერატორს და ძღვენი მიერთ-  
მია მისთვის. როდესაც ქრისტეს  
ლარიბი მოწაფე, წმიდა მარიამ  
მაგდალელი ეახლა იმპერატორ

ტიბერიუსს, მას უბრალო ქათ-  
მის კვერცხი მიართვა და უამბო  
ქრისტეს აღდგომის შესახებ.

ტიბერიუსმა არ დაუჯერა მას  
და წამოიძახა: „როგორ შეიძლე-  
ბა, ვინმე აღდგეს მკვდრეთით?  
ეს ისევე შეუძლებელია, როგორც  
ის, რომ ეს კვერცხი მოულოდნე-  
ლად გაწითლდეს.“ იმპერატორის  
თვალწინ უმაღლესი სასწაული მოხდა  
- კვერცხი გაწითლდა.

ეს გახდა უკანასკნელი არგუ-

მენტი ქრისტიანობის სასარგე-  
ბლოდ, რომლის შედეგადაც რო-  
მის კეისარი მოინათლა.

აქედან დაედო სათავე აღდგო-  
მას შეღებილი კვერცხების გაცე-  
ლის ჩვეულებას. სხვათა შორის,  
მსგავსი ტრადიცია ჯერ კიდევ  
ქრისტეს დაბადებიდან I საუკუნე-  
ში გაჩნდა. კვერცხის სიმბოლური  
მნიშვნელობა, როგორც ახალი  
სიცოცხლის დასაწყისისა, უძვე-  
ლესი დროიდან იყო ცნობილი.





# **ვიაროთ მუდამ ფესვებს მოუწყვებელი „შეთავაზება 2020 წლისათვის“ (ჩგზავნილი)**

ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! ალბათ ზოგჯერ გიჭირს! ძნელია მიიღო ამ ქვეყნის რეალობა, განსაკუთრებით 2020 წლის დასაწყისს, როცა თითქოს ყველაფერი თავდაყირა დადგა. ყველაფერი გაჩერდა მთელ მსოფლიოში და შენ... მაგრამ არა... დრო არ ჩერდება! და შენ, ჩემო მეგობარო, დროა გზას გაუდგე! ფიქრებით სავსე სულითა და გულით... დროა გზას შეუდგე გარშემომყოფებთან ერთად. ეს მოწოდება დღეს ჩვენდამია მომართული. სევდამ არ უნდა მოგვიცვას, განსაკუთრებით პანდემიისა და თვითიზოლაციის ამ პერიოდში... ვისწავლოთ დანახვა ჩვენ გარშემო ახალი ცხოვრების მრავალი ნიშნისა, მომავალს რომ გვპირდება. ყური მივაპყროთ ახალ წამოწყებებს, მაშინაც კი, თუ ისინი ხშირად მოუსაზრებელი და დროებითი გვეჩვენება. პასუხი გზადაგზა გამოჩნდება.

ძმა ალოისი

I

ვიაროთ მუდამ... ნიშნავს, რომ კვლავ და კვლავ მზად ვიყოთ გასამგზავრებლად.

უთხრა უფალმა აბრაამს: „დატოვე შენი ქვეყანა, შენი შობის ადგილი და შენი მამის სახლი, და წადი იმ ქვეყანაში, რომელსაც გიჩვენებ“ (დაბ. 12:1).

ჩვენი რწმენით ვპასუხობთ მოწოდებას - გავუდგეთ გზას, და გვახსოვს, რომ ყოველთვის შეგვიძლია დავიწყოთ თავიდან, როგორც კეთილდღეობის პერიოდში, ისე სიძნელეთა წინაშე, გადაულახავი რომ გვეჩვენება.

ბიბლიის პირველ თავებში ვეცნობით ამბავს

აბრაამის მოხმობის შესახებ. მას მოუხმეს, რომ მიეტოვებინა ყველაფერი, რათა გამგზავრებულიყო, თავადაც რომ არ უწყოდა, იქითკენ. აბრაამი და მისი ცოლი სარა იქცნენ მოგზაურებად, რომელთაც ეხმარებოდა რწმენა, რომ თავად ღმერთი გაუძღვებოდა მათ.

ღვთის მიერ ბოძებულ ახალ მინაზე მისულნი, აბრაამი და სარა კარავში ცხოვრობენ, თითქოს ჯერ კიდევ გზაში არიან. მაგრამ საბოლოოდ განსაცდელი მათ კეთილად უბრუნდებათ - ისინი მოიპოვებენ იმას, რასაც ვერასდროს პოვებდნენ, შინ რომ დარჩენილიყვნენ.

მთელი ბიბლია აღბეჭდილია მოძრაობის ამ იდეით - ჩვენ გზას უნდა შევუდგეთ მომავლისათვის, რომელიც განგვიმზადა ღმერთმა. ამ გზაზე მრავალი დაბრკოლებაა - ასე დაეხეტება ორმოცი წელი უდაბნოში ეგვიპტიდან გამოსული ღვთის ერი.

ღმერთი თავად ხდება მოგზაური, ის თვითონ მიუძღვის თავის ერს: „მე შენთან ვარ, და დაგიცავ ყველგან, სადაც კი წახვალ“ (დაბ. 28:15).

უფალი, რომელიც უდაბნოში მიუძღვება თავის ხალხს, ასწავლის, ყური მიუგდონ მის ხმას და მოულოდნელ შესაძლებლობებს უხსნის მათ.

• **მარტომ ან ერთად წავიკითხოთ, ან ხელახლა გადავიკითხოთ ბიბლიიდან ის ადგილები, სადაც უფალი მოგვინოდებს, შევუდგეთ გზას: დაბ. 28:10-15; გამ. 13, 17-22; ფსალმ. 125 (126); ეს. 43:1-2; მათ. 2:13-23; ლუკ. 10:1-9; საქმე 11:19-26.**

თარგმნა ჰერბერტ ნოზაქი

## გახსენება



ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიღუპა პაპაჩემის ძმა, სიმონ სტეფანეს ძე აფრიამაშვილი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა სტამბოლის სასულიერო სემინარია. იგი 1919 წელს ჩამოვიდა არალში და ექვსი თვე მსახურებდა ეკლესიაში დიაკვნად. შემდეგ მღვდლად ეკურთხა სტამბოლში. ახალციხეში დაბრუნებულმა იქირავა ფაეტონი და არლისკენ აიღო გეზი. ქვაბლიანისა და ფოცხოვის მდინარეების შესართავთან, მარცხენა ნაპირზე მდებარე „პოლ ფოსტასთან“ მიახლოებისას ფაეტონი გაფუჭებულა. აქ მოსულა, მერე კი მისი კვალი დაკარგულა. რამდენიმე დღის შემდეგ მდინარეში იპოვეს დამხრჩვალს, ახალციხის ქვემოთ, საცვლების ამარა. 1920 წლის გაზაფხული იყო, ასე რომ, მღვდლად მსახურებას ვეღარ მოესწრო.

ბებიაჩემი, ვალელი ჩიტაშვილების ქალი, ასე იტყოდა ხოლმე: მე რომ მოვედი, ჩემი მამა 11 წლისა იყო, დაბადებული 1900 წელს; დედმამიშვილებში ყველაზე უმცროსი ყოფილა. ბებიაჩემი ამბობდა, ქართული წერა-კითხვა მე შევასწავლეო. იმ დროისათვის სოფელში დადიოდა

პეტრე ხარისჭირაშვილის ხალხი და სტამბოლის სასულიერო სემინარიაში გასაგზავნად ბავშვებს კრებდა. ჩემი მამა იმ პერიოდისათვის 12 წლისა იყო, მამამთილმა ურჩია, მღვდლობისთვის მომზადებულიყო და სტამბოლის წმიდა სავანის სასულიერო სემინარიაში გაუშვა სასწავლებლად.

მე დღესაც მაქვს მის მიერ სტამბოლიდან ჩამოტანილი ჯვარცმა, რომელიც ბებიაჩემმა მაჩუქა, როგორც მის მოსახელეს, ჩემს ძმას კი - მის მიერვე ჩამოტანილი „პარტეზი“ და ღვთისმშობლის ხატი.

სტამბოლის წმიდა სავანის საარქივო მასალებში აღმოჩნდა პიო ბალაძის წინამძღვრობის პირველ წლებში (1912-1913) მისულ მოსწავლეთა სია, სადაც ასე წერია - სიმონ აფრიამათი (აფრიამაშვილი). ფონდში დაცულია 1920 წლიდან მონასტერში მისული მოსწავლეების სია, სადაც მეორედ მოიხსენიება სიმონ აფრიამაშვილი.

2009 წელს სტამბოლში თავისი ხარჯით წავიდნენ: ჟუჟუნა ფუტკარაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ციური ლაფაჩი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი და ნატო ყრუაშვილი, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. მათ, სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მასალებზე დაყრდნობით, გამოსცეს მრავალი ნაშრომი. კიდევ ბევრი მასალა აქვთ გამოსაცემი, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ბეჭდავენ. წმიდა სავანის საარქივო მასალებში დაცულია ფრანგულ ენაზე გამოცემული პეტრე მერაბიშვილის სამედიცინო რეცეპტების წიგნი და შალვა ვარდიძის „საქართველოს ისტორია“, ასევე, სხვა მრავალი ნაშრომი და წიგნი.

სიმონ აფრიამაშვილი  
არალი

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

ეკლესიებში თავისუფლად დასწრების ნებართვამდე, — ვიმედოვნებთ, რომ ეს მალე გახდება შესაძლებელი, — ვიცავთ ძალაში მყოფ დეკრეტების მითითებებს

|          |   |                                                                                                                                            |
|----------|---|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1 მაისი  | — | წმ. იოსებ მშრომელის დღე, უდის „ქვედა ეკლესიის“ საკრებულოს დღეობა                                                                           |
| 3 მაისი  | — | პასექის მე-4 კვირადღე, ღოცვა მღვდლობისაკენ მონოდებულთათვის                                                                                 |
| 8 მაისი  | — | კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენება (+2005)                                                                                           |
| 11 მაისი | — | მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)                                                                                                      |
| 14 მაისი | — | წმ. მატათა მოციქულის დღესასწაული                                                                                                           |
| 21 მაისი | — | ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს მომდევნო კვირადღეს, 24 მაისს)<br>ბუზმარეთის ეკლესიის დღეობა |
| 24 მაისი | — | მ. ივანე გვარამადის გახსენება (+1912)                                                                                                      |
| 31 მაისი | — | სულთმოფენობა, ბათუმის ახალი ეკლესიის დღეობა                                                                                                |

პანდემიის გამო გადაიდო IV საერთაშორისო სიმპოზიუმი  
კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში.

| განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო                                               |                                                                                                 | სარჩევი                                                    |
|-------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------|
|  | <b>თამარ ნარიმანიშვილი</b><br>* 01.10. 1946, ვალე<br>† 21.02. 2020, ვალე                        | ვინ განგვკურნავს? .....2                                   |
|  | <b>რევაზ მანველიშვილი</b><br>* 20. 10. 1956, ვალე<br>† 23.02. 2020, ვალე                        | პაპის გზავნილი .....4                                      |
|  | <b>თინა (მარო) აკოფაშვილი-<br/>ვაჟაშვილი</b><br>* 04.10. 1938, არალი<br>† 28.02. 2020, ახალციხე | მსოფლიო .....8                                             |
|  | <b>გიორგი გოგოლიშვილი</b><br>* 20.01. 1945, ვალე<br>† 10.03. 2020, ვალე                         | საქმე რწმენის გარეშე და<br>რწმენა საქმის გარეშე.....10     |
|                                                                                     |                                                                                                 | საგანგებო ჩანართი .....I-IV                                |
|                                                                                     |                                                                                                 | მარტინების წყვილის წმიდა<br>ცხოვრება და წმიდა ოჯახი.....12 |
|                                                                                     |                                                                                                 | რატომ ღებავენ საადგომოდ<br>კვერცხებს წითლად? .....14       |
|                                                                                     |                                                                                                 | ვიართ მუდამ ფესვებს<br>მოუნწყვეტლივ.....15                 |
|                                                                                     |                                                                                                 | „წმიდანნი... საქართველოში“ .....16                         |
|                                                                                     |                                                                                                 | გახსენება.....18                                           |
|                                                                                     |                                                                                                 | ინფორმაცია.....18                                          |

მთავარი რედაქტორი: მამა გაბრიელ ბრეგანტინი  
სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ღალანაძე, ციციკო ხითარიშვილი  
თექნიკური მხარდაჭერა: მამა მიხეილ სურმაგა, თამარ სტეფანაძე  
მისამართი: ჟურნალ „საბას“ რედაქცია, გია აბესაძის ქ. №6 0105, თბილისი, საქართველო;  
E-mail: saba.jurnali@gmail.com; www.onlinesaba.com; www.facebook.com/onlinesaba/  
რეგისტრაციის №1853, დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ, © „საბა“, 2020.